ს.ს.ი.პ. საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი“ დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №40

ქ. თბილისი 02 თებერვალი 2015 წელი

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი” მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

“პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99 ბრძანებით დამტკიცებული“ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” მე-8 მუხლის “გ” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 20 ივნისის №75/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – საზოგადოებრივი კოლეჯის “სპექტრი” წესდების მე-5 მუხლის “ე” ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს ”სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „სპექტრი” მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი №1 დანართის შესაბამისად.
2. სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ”სპექტრი” საწარმოო პრაქტიკის მასწავლებლების/ხელმძღვანელების კოლეჯში სამუშაოზე აყვანისას ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესი არ ვრცელდება.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „სპექტრი” დირექტორის 2014 წლის 17 სექტემბრის №120-ა ბრძანება.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს კოლეჯის დირექტორის მოადგილეს ვარლამ ავალიშვილს.

5. ბრძანების გაცნობა შესაბამისი პირებისათვის უზრუნველყოს კოლეჯის საქმისმწარმოებელმა ინა ქვრივიშვილმა.
6. აღნიშნული ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა კოლეგიაში, მისამართზე – ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

კოლეჯის დირექტორი

როინ ტაკიძე

*დანართი 1*

დამტკიცებულია
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "სპექტრი"
დირექტორის 2015 წლის 02 თებერვალი
№ 7-2 ბრძანებით

## სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში ,,სპექტრი" მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი

### მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში ,,სპექტრი" (შემდგომში ,,კოლეჯი") მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსის ჩატარების წესი (შემდგომში ,,წესი") შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის ,,სპექტრი" წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
2. წესი არეგულირებს მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანას გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით.
3. წესი შემუშავებულია, რათა მასში გათვალისწინებული დებულებებისა და პროცედურების საშუალებით უზრუნველყოფილი იყოს კოლეჯის მოთხოვნებისა და კონკურსანტის ნიჭის, უნარების, პოტენციალისა და შესაძლებლობების ობიექტური შეფასება, მათი ურთიერთშეჯერება და კოლეჯის მიზნების მისაღწევად შრომითი ურთიერთობის საფუძველზე თანამშრომლობის დამყარება.

### მუხლი 2. კოლეჯში მასწავლებელთა არჩევის წინაპირობები

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
2. IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
3. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით დადგენილია დამატებითი მოთხოვნები.

### 3. კონკურსის გამოცხადება

1. მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანის მიზნით კონკურსი ცხადდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

2. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე საბუთების მიღებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. ზუსტი ვადა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

3. კონკურსის ჩატარების სხვა აუცილებელი პირობები დგინდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკონკურსო ვადა სრულდება კოლეჯისათვის არასამუშაო ან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უქმე დღეს, კონკრეტული საკონკურსო ვადის დასრულების დღედ ითვლება მომდევნო სამუშაო დღე.

**მუხლი 4. საკონკურსო კომისია**

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით, რომელიც წარმართავს კომისიის მუშაობას.

3. კომისიის მუშაობისას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად შესაძლებელია, მოწვეულ იქნეს შესაბამისი დარგის ექსპერტი.

4. კომისიას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დანიშნული მდივანი, რომელიც წარმოადგენს ტექნიკურ პერსონალს და მონაწილეობას არ იღებს კენჭისყრაში.

5. კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც ამავე კონკურსში მონაწილეობს კონკურსანტის სტატუსით.

6. კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

7. კომისია თავის შესასრულებელ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

8. გარდა წინამდებარე წესით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები ქვეყნდება საჯაროდ კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

9. საკონკურსო კომისიის საქმიანობა აისახება საკონკურსო კომისიის ოქმებში, რომელთაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.

10. საკონკურსო კომისიის სხდომა დახურულია.

11. საკონკურსო კომისიის წევრი და მდივანი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის შესახებ კონკურსის შედეგების დამტკიცებამდე.

**მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება**

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია, საკონკურსო დოკუმენტაცია, საკონკურსო განცხადებით განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით, წარუდგინოს კოლეჯის საკონკურსო კომისიის მდივანს.

2. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია წარადგინოს განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (კონკურსში მონაწილეობის მსურველის მხრიდან დაუშვებელია წარდგენილ იქნეს ერთზე მეტი განცხადება ერთზე მეტ საკონკურსო თანამდებობაზე).

3. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა კონკურსში მონაწილეობისათვის ვალდებულია, წარდგენილ განცხადებას დაურთოს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

4. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

5. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსში მონაწილეობის მსურველის მიერ წარდგენილი დოკუმენტები მოწმდება და ილუქება საკონკურსო კომისიის მდივნის მიერ, კონკურსანტის თანდასწრებით.

**მუხლი 6. საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება**

1. საკონკურსო დოკუმენტაცია კოლეჯის საკონკურსო კომისიას გადაეცემა კომისიის მდივნის მიერ განცხადებების მიღების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს მეორე დღისა დალუქულ მდგომარეობაში.

2. საკონკურსო დოკუმენტაცია იხსნება საკონკურსო კომისიის სხდომაზე.

3. საკონკურსო კომისია ამოწმებს კონკურსანტის განცხადების, კონკურსანტის ანკეტისა და დოკუმენტაციის სისრულესა და შესაბამისობას ამ წესის მე-5 მუხლში მოყვანილ მოთხოვნებთან მიმართებით და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უფლებამოსილია მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

4. კომისია კონკურსანტის ანკეტაში მოცემული მონაცემის, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სხვა სახის ინფორმაციის საფუძველზე აფასებს კონკურსანტს, რაც აისახება ოქმში, გარდა წინამდებარე წესის ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან კონკურსანტის შეუსაბამობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია კონკურსანტი სხვა კატეგორიებში არ შეაფასოს და მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის თაობაზე.

6. კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, აგრეთვე, მათში არსებული ინფორმაციის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით გაცემა სხვა პირზე დაუშვებელია, იმ კონკურსანტის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაფორმებული და ნოტარიულად

დამოწმებული წერილობითი თანხმობის გარეშე, ვისი დოკუმენტაციაც ან მასში არსებული ინფორმაციაც არის მოთხოვნილი.

**მუხლი 7. გასაუბრება**

1. საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად ტარდება გასაუბრება, რომლის მიზანია დაზუსტდეს ან/და დაკონკრეტდეს კონკურსანტის თაობაზე არსებული ინფორმაცია, შეფასდეს კონკურსანტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემის უნარი, ლოგიკური აზროვნების უნარი, ქცევისა და მეტყველების მანერა, კოლეჯის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნა და სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც შესაძლებელია დაკავშირებული იყოს კოლეჯში შრომითი და საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროსთან.

2. კონკურსანტი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. კონკურსანტის მიერ ერთ საათზე მეტით, არასაპატიო მიზეზით, დაგვიანება ითვლება გასაუბრებაზე გამოუცხადებლობად.

3. გასაუბრება შესაძლებელია ჩატარდეს როგორც კითხვა-პასუხის, ასევე კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში კონკურსანტის მიერ გარკვეული საკითხების მოკლე მიმოხილვის სახით.

4. გასაუბრების მოკლე მიმოხილვა აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში.

5. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსანტის (მასწავლებლის) მიერ საცდელი ლექციის ჩატარების ან სხვა ისეთი აქტივობის განხორციელების დავალდებულების შესახებ, რომელიც გამოდგება კონკურსანტის სრულყოფილად შეფასების დამატებით საფუძვლად.

6. კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა და საცდელ ლექციაზე გამოუცხადებლობა ან მის ჩატარებაზე უარის თქმა, ასევე ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ აქტივობაზე გამოუცხადებლობა ან უარის თქმა წარმოადგენს კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნის საფუძველს.

**მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღება და გამარჯვებულის გამოვლენა**

1. წინამდებარე წესის მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდგომ საკონკურსო კომისია ახდენს კონკურსის შედეგების ურთიერთშეჯერებას, შეფასებას და იღებს გადაწყვეტილებას გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ.

2. ერთ პოზიციაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კონკურსანტი.

3. კოლეჯში შესაბამის პოზიციაზე გამარჯვებულის გამოვლენის გადაწყვეტილება მიიღება კომისიის მიერ ღია კენჭისყრის წესით. ერთ საკონკურსო თანამდებობაზე არსებულ კონკურსანტებს კენჭი ეყრებათ ცალ-ცალკე და კომისიის თითოეული წევრი აფიქსირებს თავის პოზიციას თითოეულ კონკურსანტთან დაკავშირებით. გამარჯვებულად ცხადდება კონკურსანტი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტს.

4. იმ შემთხვევაში, თუ ორმა ან ორზე მეტმა კონკურსანტმა დააგროვა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტის ხმები, გამარჯვებულად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელმაც

მიიღო დადებითი ხმების მეტი ოდენობა. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, რომელშიც კომისიის თითოეული წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კონკურსანტს. ამ შემთხვევაშიც ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. იმ შემთხვევაში, თუ ვაკანტურ თანამდებობაზე/პოზიციაზე ვერც ერთმა კონკურსანტმა ვერ მიიღო კომისიის დამსწრე წევრთა ხმების ნახევარზე მეტი ან ამ თანამდებობაზე არ იქნა მიღებული არც ერთი განცხადება, ამ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ითვლება ჩაშლილად და ცხადდება ახალი კონკურსი.

6. კომისიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით.

7. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება კონკურსანტის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ ფორმდება კომისიის შემაჯამებელი ოქმით, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცემა კოლეჯის დირექტორს.

**მუხლი 9. დასკვნითი დებულებები**

საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა კოლეჯის საქმისმწარმოებელს. კონკურსანტს, წარმოდგენილი დოკუმენტები უკან არ უბრუნდება.